საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თანგა

თანგა, XV ს. დასაწყისში თემურლენგის მიერ შემოღებული მაღალხარისხოვანი ვერცხლის მონეტა (მასა 6,2 გ), ძირითადი ერთეული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და აღმ. ამიერკავკასიის ფულად სისტემაში. საქართველოს ეს რეფორმა არ შეხებია. თემურლენგის თ-ები საქართველოში არაა აღმოჩენილი. სამაგიეროდ ფართოდ იყო გავრცელებული XV ს. შირვანული თ-ები. აღმოჩენილია როგორც ერთეული, ისე განძის სახით სოფ. საქობოში (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი), ხორხში (დუშეთის მუნიციპალიტეტი), თამარაშენში (ქარელის მუნიციპალიტეტი), ალში (ხაშურის მუნიციპალიტეტი).

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, თბ., 1964; Д у н д у а Г. Ф., Д ж а л а г а н и я И. Л., Обращение ширванских монет XV века в Грузии, «Известия АН Азерб. ССР», 1973, №4; 1974, №1; П а х о м о в Е. А., Монетные клады Азербайджана и Закавказья, «Труды Общества обследования и изучения Азербайджана», в. 3, Баку, 1926.

გ. დუნდუა